სხდომის ოქმი N4

2016 წლის 2 მარტი ქ. ხობი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-8 თავით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ნორმების შესაბამისად, გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სხდომა.

სხდომის ადგილი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა.

სხდომა დაიწყო: 10: 55 საათზე.

საქმისგანმხილველი ადმინისტრაციული ორგანო - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია.

ადმინისტრაციული წარმოების დასახელება:

ჟუჟუნა კიტიას განცხადების განხილვა საკუთრების უფლების აღიარებაზე.

სხდომას ესწრებოდა:

განმცხადებელი - ჟუჟუნა კიტიას წარმომადგენელი გია კიტია

კომისია:

როსტევან გვარამია- საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების'' თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარე;

ეკა ტიბუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი - კომისიის მდივანი;

სევერიან ბუკია - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

გოჩა სიჭინავა - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

გოჩა შანავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ლამზირა თოდუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა:

ლაშა ცატავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ლაშა ცატავა სხდომას ოჯახური პირობების გამო ვერ ესწრება, აქვე აღნიშნა საკრებულოს აპარატის მიერ კომისიის ყველა წევრს კანონით დადგენილ ვადაში გაეგზავნა შეტყობინება კომისიის სხდომის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარის კითხვაზე განმცხადებელს და კომისიის წევრებს ერთმანეთის მიმართ აცილების საკითხი არ დაუყენებიათ.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ როსტევან გვარამიამ აღნიშნა რომ, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის N525 ბრძანებულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა, განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ჟუჟუნა კიტიას (წარმომადგენელი გია კიტია) მიერ ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში თვითნებურად დაკავებული 8558m^2 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა ჟუჟუნა კიტიას (წარმომადგენელი გია კიტია) განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაციადა გააცნო კომისიის წევრებს.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთს, რომელსაც ჟუჟუნა კიტია ფლობს და სარგებლობს 1995 წლიდან, შემოღობილია, გაშენებულია თხილის პლანტაცია და მის საკუითრებაში არსებული 12500კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიმდებარეა. რეგისტრირებული არ აქვს, ვინაიდან უფლების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი არ გააჩნია, მისივე თქმით, პრეტენზია ამ ქონებაზე არავის არ გააჩნია და ითხოვს განცხადების დაკმაყოფილებას.

- კომისიის წევრმა ბატონმა სევერიანე ბუკიამ გამოთქვა აზრი, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი სისტემური რეგისტრაციის მონაცემებში ღურწკაია ლადიკოს სახელზე ფიქსირდება და საჭიროა მოწვეულ იქნას აწ გარდაცვლილი ლადიკო ღურწკაიას მემკვიდრე და გაირკვეს ხომ არ აქვს პრეტენზია აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე. ამ მოტივით საკითხი მოითხოვს გადადებას. კომისიის წევრებმა საქმის გადადების საკითხი დააყენეს კენჭისყრაზე.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. ჟუჟუნა კიტიას მოთხოვნის განხილვა ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში თვითნებურად დაკავებული 8558$მ^2$ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ გადაიდოს.

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 30 დღის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავითაღმაშენებლისქ. #3).

სხდომა დახურულად გამოცხადდა 2016 წლის 2 მარტს 11:05 წუთზე.

2016 წლის 13 აპრილი **ქ. ხობი**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-8 თავით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ნორმების შესაბამისად, გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოსფიზიკურიდაკერძოსამართლისიურიდიულიპირებისმფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულმიწისნაკვეთებზესაკუთრებისუფლებისაღიარებისკომისიის სხდომა.

სხდომის ადგილი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა.

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.

საქმისგანმხილველი ადმინისტრაციული ორგანო - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწისნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია.

ადმინისტრაციული წარმოების დასახელება:

ჟუჟუნა კიტიას განცხადების განხილვის გაგრძელება საკუთრების უფლების აღიარების შესახებ

სხდომას ესწრებოდა:

განმცხადებელი - ჟუჟუნა კიტიას წარმომადგენელი გია კიტია

კომისიის წევრები:

როსტევან გვარამია-საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების'' თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარე;

ლაშა ცატავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ეკა ტიბუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი - კომისიის მდივანი;

გოჩა სიჭინავა - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

გოჩა შანავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ლამზირა თოდუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა: სევერიან ბუკია - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ კომისიის წევრის გამოუცხადებლობის მიზეზი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაა, აქვე აღნიშნა, რომ საკრებულოს აპარატის მიერ კომისიის ყველა წევრს კანონით დადგენილ ვადაში გაეგზავნა შეტყობინება კომისიის სხდომის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარის კითხვაზე განმცხადებელს და კომისიის წევრებს ერთმანეთის მიმართ აცილების საკითხი არ დაუყენებიათ.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ როსტევან გვარამიამ აღნიშნა რომ, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის N525 ბრძანებულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა და გააგრძელოს ჟუჟუნა კიტიას საქმის განხილვა (წარმომადგენელი გია კიტია) ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში თვითნებურად დაკავებული 8558მ² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

კომისიამ მოისმინა მოწვეული პირის ღურწკაია ლადიკოს შვილის ნუგზარ ღურწკაიას (პირადი ნომერი 58991021463) განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ პრეტენზია არ გააჩნია ჟუჟუნა კიტიას მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე და შესაბამისად, კომისიას აღნიშნულზე წარმუდგინა განცხადება წერილობით, აგრეთვე წარმოადგინა ლადიკო ღუწკაიას გარდაცვალების მოწმობა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიწის საკუთრების აღიარებისთვის სრულყოფილია და შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კომისიის წევრებს განსხვავებული აზრი არ გამოუთქვამთ და საკითხი დაისვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრაზე ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში თვითნებურად დაკავებული 8558მ² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ჟუჟუნა კიტიას საკუთრების უფლების აღიარებას მხარი დაუჭირა: როსტევან გვარამიამ, ლაშა ცატავამ, გოჩა შანავამ, გოჩა სიჭინავამ, ეკა ტიბუამ და ლამზირა თოდუამ.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. ჟუჟუნა კიტიას (პირ. ნომერი 01011037310) განცხადება დაკმაყოფილდეს.

2. ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში თვითნებურად დაკავებული 8558მ² სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე აღიარებულიქნას ჟუჟუნა კიტიას საკუთრებისუფლება.

3. ჟუჟუნა კიტიას წერილობითი შეტყობინებით ეცნობოს საკუთრების უფლების აღიარების საფასურის შესაბამისი ოდენობისა და მისი სრულად გადახდის ვალდებულების თაობაზე და ამ ვალდებულების შესრულების შემდეგ, მის მიმართ აღნიშნულ უძრავ ნივთზე გაიცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 30 დღის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავითაღმაშენებლისქ. #3).

სხდომა დახურულად გამოცხადდა 2016 წლის13 აპრილი 11:15 წუთზე.

კომისიის თავმჯდომარე:	როსტევან გვარამია
კომისიის მდივანი:	ეკა ტიბუა.
კომისიის წევრები:	ლაშა ცატავა
	გოჩა სიჭინავა
	გოჩა შანავა
	ლამზირა თოდუა